

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

ს ა რ ზ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღივცხო პოლიტიკა

განმარტებითი შენიშვნები

შპს ჰაინინგ ჰოლდინგ პროდაქტს ჯორჯია

ს/ლ 406205850

თბილისი, საქართველო

ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	31 დეკემბერი 2017 წ. ლარი	დეკემბერი 2018 წ. ლარი
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	49,677.00	62,308.00
დაგროვილი ცვეთა	(9,380.00)	(18,445.00)
მოკლევადიანი აქტივები		
საქონელი	998,077.89	1,500,325.49
დებიტორული დავალიანებები	41,083.33	350,164.88
გაცემული ავანსები	31,557.53	96,575.17
ფულადი საშუალებები	113,062.00	31,419.00
აქტივების ჯამი	1,224,077.75	2,022,347.54
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	500,000.00	650,000.00
დაგროვილი მოგება/ზრალი	(281,999.40)	(667,380.00)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
დარიცხული გადასახადები	(122,330.57)	16,000.00
მოკლევადიანი ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანებები	1,128,300.42	1,997,385.72
მიღებული ავანსები	107.30	26,341.82
კაპიტალი და ვალდებულებები ჯამი	1,224,077.75	2,022,347.54

შპს ჰაინინგ ჰოლმ პროდაქტს ჯორჯია
ს/ლ 406205850
თბილისი, საქართველო

მოგება ზრალის უწყისი 2018წ

	ლარი
შემოსავალი	<u>573,869.39</u>
საწყისი სასაქონლო მატერიალური საშუალებები	998,077.89
შეძენილი სასაქონლო მატერიალური საშუალებები	872,405.00
საბოლოო სასაქონლო მატერიალური საშუალებები	<u>1,500,325.49</u>
საერთო მოგება	<u><u>203,711.99</u></u>
ადმინისტრაციული ხარჯები	13,416.00
საოპერაციო ხარჯები	207,773.00
ხელფასი	358,839.00
ამორტიზაცია	9,065.00
საოპერაციო მოგება	<u>(385,381.01)</u>
წმინდა მოგება/ზრალი	<u><u>(385,381.01)</u></u>

შპს ჰაინიგ ჰოფ პროდაქტს ჯორჯია
ს/ლ 406205850
თბილისი, საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

პერიოდის ბოლოს 31 დეკემბერი 2018წ

ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში, ლარი 113,062.00

საოპერაციო საქმიანობა

ფულადი საშუალებების შემოსვა

რეალ ობიექტიდან მიღებული ფულადი საშუალებები 394,318.97

ფულადი საშუალებების გასვლა

გადასახადები (213,961.97)

ხელფასი (287,000.00)

საოპერაციო ხარჯები (125,000.00)

ფულადი საშუალებების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან (231,643.00)

საინვესტიციო საქმიანობა

ფულადი საშუალებების შემოსვა

ძირითადი საშუალებების რეალ ობიექტიდან მიღებული ფულადი სახსრები -

ფულადი საშუალებების გასვლა

ძირითადი საშუალებების შესყიდვა

ფულადი საშუალებების შემოსვლა საინვესტიციო საქმიანობიდან -

ფინანსური ოპერაციები

ფულადი საშუალებების შემოსვა

საწესდებო კაპიტალის ზრდა 150,000.00

ფულადი საშუალებების გასვლა

დივიდენდები -

ფულადი საშუალებების შემოსვლა ფინანსური ოპერაციებიდან 150,000.00

ფულადი საქსრების სმინდა შემოსავალი (81,643.00)

ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს 31,419.00

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად . კომპანიის 70% მფლობელია G53753174, , ლისინ თიან , ჩინეთი და 30% მფლობელია 404934381, სააქციო საზოგადოება Hualing international special economic zone. კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ტექსტილით ვაჭრობა და მისგან სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოება , ასევე სხვადასხვა საქონლის იმპორტი და მისი რეალზიაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების

მომზადების საფუძველი და სააღივხო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში “მსს ფასს”) შესაბამისად.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში წარმოებული ტრანზაქციები აღიარდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი მუხლები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება წლის ბოლოს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. კონვერტაციის დროს წარმოშობული კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში არსებული არაფულადი მუხლები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა, და როდესაც მყიდველს გადაეცემა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შფასება შესაძლებელია. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაძღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლის გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხარჯები აღიარდება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეზე გაცემულ დივიდენდთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში როდესაც საკრედიტო პირობები ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული დებიტორული დავალიანებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში,

საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემსავალში ან სხვა ხარჯში.